

საერთაშორისო დანაშაულები

უბსტრუქტი

მსოფლიოში მიმდინარე პროცესები, კერძოდ უკრაინასა და რუსეთს შორის არსებული კონფლიქტური სიტუაცია, კვლავ ზრდის რისკს, რომ ჩადენილ იქნება საერთაშორისო დანაშაულები, რომელსაც მოჰყვება ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების მნიშვნელოვანი დარღვევა. მიუხედავად ამისა, მოცემულ ნაშრომში არ ხდება აქცენტირება რუსეთ-უკრაინის კონფლიქტზე, რადგან უკრაინაში არსებული მდგომარეობა საჭიროებს მკაფიო მტკიცებულებით გამოკვლევას, რომლის პროცესიც ამჟამად მიმდინარეობს. შესაბამისად, არ არის მიზანშეწონილი უკრაინაში არსებული სიტუაციის სამართლებრივი შეფასება.

მოცემულ ნაშრომში წარმოდგენილია საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს რომის სტატუტის მიხედვით კრიმინალიზებული დანაშაულების განხილვა. ერთი მხრივ, დანაშაულის შემადგენლობის, მეორე მხრივ კი – საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს და საერთაშორისო ტრიბუნალების პრაქტიკა. გარდა ამისა, ნაშრომში წარმოდგენილია საქართველოში, 2008 წელს აგვისტოს ომის დროს განხორციელებული სამხედრო აგრესიის საერთაშორისოსამართლებრივი განხილვა, კერძოდ თუ რამდენად ჰქონდა რუსეთს სამხედრო ძალის გამოყენების უფლება. ასევე, სტატიაში ნაჩვენებია აგვისტოს ომის დროს ჩადენილი საერთაშორისო დანაშაულები, რაც ძალიან მსგავსია რუსეთის მიერ უკრაინაში განხორციელებული ქმედებებისა. განხილულია ცალკეული დანაშაული, რომელიც ნათლად აჩვენებს, რომ დღევანდელი საერთაშორისო სისხლის სამართალი ვერ ფარავს დღევანდელ მსოფლიოში არსებულ გამოწვევებს.

* სტუდენტი, ილიას სახელმწიფოს უნივერსიტეტის სამართლის სკოლა

1. გენოციდის ტერმინოლოგიური განმარტება

ტერმინ გენოციდის ავტორად ითვლება რაფაელ ლემკინი, რომელმაც ტერმინი პირველად გამოიყენა 1944 წელს მის მიერვე გამოცემულ წიგნში „ნაცისტთა დანაშაულები ოკუპირებულ ევროპაში“; ნაცისტების მიერ ებრაელებზე განხორციელებული საშინელებების აღსაწერად. ლემკინის განმარტებით, გენოციდის განსახორციელებლად არ არის აუცილებელი, რომ მოხდეს ნაციის პირდაპირი განადგურება. აუცილებელია, სახეზე გვექნოდეს კოორდინირებული გეგმა რომლის მიზანი იქნება ცხოვრების აუცილებელი საფუძვლების განადგურება, კერძოდ: პოლიტიკური და სოციალური ინსტიტუტის, კულტურის, ენის, ნაციონალური გრძნობის, რელიგიისა და ნაციონალური ჯგუფების ეკონომიკური ჯგუფების დეზინტეგრაცია და პირადი უსაფრთხოების, თავისუფლების, ჯანმრთელობის, ღირსების და ასეთი ჯგუფების მიკუთვნებული ინდივიდების სიცოცხლის განადგურება მათ შორის მკვლელობაც.¹

ლემკინის კონცეფციის მიხედვით, გენოციდს ორი ფაზა აქვს: 1. დაჩაგრული ჯგუფების ნაციონალური სტრუქტურების განადგურება 2. მჩაგვრელი ნაციონალური სტრუქტურის ძალდატანებით იმპლემენტაცია.² ძალდატანება შეიძლება განხორციელდეს იმ დაჩაგრულ მოსახლეობაზე, რომელიც ტერიტორიაზე დარჩენის უფლება მიეცათ ან გავრცელდეს მხოლოდ იმ ტერიტორიაზე, რომელზეც მოსახლეობის გაძევების შემდგომ მოხდა მჩაგვრელის მიერ საკუთარი ნაციონალური მოსახლეობის კოლონიზაცია. ლემკინის აზრით, ნაციის ან ეთნიკური ჯგუფის მიმართ გენოციდი ხორციელდება იმ მიზნით, რომ განადგურდეს აღნიშნული ჯგუფები და მოხდეს ტერიტორიის კოლონიზაცია მჩაგვრელის მიერ. ტერმინ გენოციდის შემოღებას, წინ უძღვოდა ლემკინის მხრიდან ბარბაროსობის და ვანდალიზმის კონცეფციების შეთავაზება, რომლის მიხედვითაც, ბარბაროსობა ნიშნავს ინდივიდების მიერ ფიზიკურ განადგურებას, ეროვნული, რელიგიური და რასობრივი ჯგუფის წევრობის გამო, ხოლო ვანდალიზმი გულისხმობს ასეთი ჯგუფების კულტურაზე თავდასხმას.

თუმცა, აღნიშნულმა განსაზღვრებებმა კრახი განიცადა 1933 წელს „სისხლის სამართლის უნიფიკაციისთვის“ საერთაშორისო კონფერენციაზე. ლემკინს სურდა, ბარბაროსობა და ვანდალიზმი, აღიარებულ ყოფილიყო საერთაშორისო დანაშაულად, თუმცა უშედეგოდ. წარუმატებელი მცდელობის შემდგომ, ლემკინის მხრიდან მოხდა ზემოაღნიშნული ტერმინების ჩანაცვლება პლატონის მიერ გამოყენებული ბერძნული სიტყვით „*genos*“ (რასა, გვარი, ტომი, ჯიში), რომელსაც დაუმატა ლათინური სიტყვა „*cidium*“, რაც ნიშნავს კვლას. აღნიშნულმა დანაშაულმა აღიარება ჰპოვა 1946 წელს გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული 96 (I) რეზოლუციაში, სახელწოდებით „გენოციდი“.³

XX საუკუნე, განსაკუთრებით მდიდარია გენოციდის ჩადენის ფაქტებით. ამას მოწმობს, „ჰოლოკოსტი“, რომელიც 1933 წლიდან მიმდინარეობდა ნაცისტების მიერ ებრაელებისა და

1 წულაია, დ. (2014). გენოციდის გენეზისი. *სამართლის უფრონალი*, 191-217.

2 წულაია, დ. (2014). გენოციდის გენეზისი. *სამართლის უფრონალი*, 191-217.

3 assembly, U. g. (1946). *The crime of genocide*. Retrieved from United nations digital library: <https://digitallibrary.un.org/record/209873?ln=en>

სხვა ეთნიკური ჯგუფების წინააღმდეგ.⁴ ამ მოვლენამ, აქტიური ხასიათი 1935 წელს მიიღო, როდესაც გერმანიაში ანტისემიტური კანონი მიიღეს, რომლის საფუძველზე აქტიურად დაიწყო ებრაელების დევნა. ამ უკანასკნელთ ეკრძალებოდათ ტრანსპორტით გადაადგილება, ამოსაცნობად ატარებდნენ ექვსქიმიან ვარსკვლავს. უფრო მეტიც, მათ არაადამიანური სისასტიკით ცნობილ ციხეში „აუშვიცში“ ათავსებდნენ, რაც საბოლოოდ ემსახურებოდა ებრაელთა განადგურების მიზანს. ამ ქმედებების გენოციდის კვალიფიკაციის მინიჭებას განაპირობებს თავად ნაცისტური გერმანიის უმაღლესი თანამდებობის პირების განცხადებები, საიდანაც ნათლად ჩანს, რომ ამ ქმედებების მიზანია ებრაელების, როგორც ჯგუფის მთლიანი განადგურება. იოზეფ გებელსი ამბობდა „არსებობენ ებრაელები, რომლებსაც გარეგნულად არაფერი ეტყობათ, მაგრამ სწორედ ისინი წარმოადგენენ ყველაზე საშიშ ძალას“. ამ ყოველივეს შედეგად გარდაიცვალა 6 000 000 ებრაელი.⁵

1.1 გენოციდის დანაშაულის შემადგენლობა

1946 წელს, გაეროს გენერალური ასამბლეის, 96 (I) რეზოლუციით, გენოციდი პირველად იქნა აღიარებული საერთაშორისო დანაშაულად. ზემოაღნიშნული რეზოლუციის საფუძველზე, მიღებულ იქნა „გენოციდის დანაშაულის თავიდან აცილებისა და დასჯის შესახებ“ კონვენცია, რომელშიც მოწესრიგებულია გენოციდის, როგორც საერთაშორისო დანაშაულის შემადგენლობა. კერძოდ, კონვენციის 2 მუხლის მიხედვით, „გენოციდი ნიშნავს ნებისმიერ ქვემოთ ჩამოთვლილ ქმედებას, რომელიც ჩადენილია ეროვნული, ეთნიკური, რასობრივი ან რელიგიური ჯგუფის მთლიანი ან ნაწილობრივი განადგურების მიზნით:

- ა.) ჯგუფის წევრთა მკვლელობა;
- ბ.) ჯგუფის წევრთათვის სხეულის მძიმე დაზიანების ან ფსიქიკური მოშლილობის მიყენება;
- გ.) ჯგუფისათვის განზრახ ისეთი პირობების შექმნა, რაც მიზნად ისახავს მის მთლიან ან ნაწილობრივ ფიზიკურ განადგურებას;
- დ.) ისეთი ზომების გატარება, რომელთა მიზანია ჯგუფის შიგნით შობადობის აღკვეთა;
- ე.) ერთი ჯგუფიდან მეორეში ბავშვების ძალადობით გადაცემა.⁶

გარდა ზემოაღნიშნული მუხლისა, კონვენციით დასჯადია შეთქმულება გენოციდის ჩადენის მიზნით, პირდაპირი და საჯარო წაქეზება გენოციდის ჩადენისთვის, გენოციდის ჩადენის მცდელობა და თანამონაწილეობა გენოციდში.

4 ფაშიზმი. (2014). In *XX საუკუნის ისტორია*, TIME (p. 50). თბილისი: პალიტრა L.

5 ფაშიზმი. (2014). In *XX საუკუნის ისტორია*, TIME (p. 50). თბილისი: პალიტრა L.

6 assembly, U. g. (1946). *The crime of genocide*. Retrieved from United nations digital library: <https://digitallibrary.un.org/record/209873?ln=en>

1998 წელს, რომის სტატუტით დაფუძნდა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო და, ამავდროულად, განისაზღვრა დანაშაულის შემადგენლობები, რომელზეც სასამართლო ახორციელებს იურისდიქციას. სტატუტში მოცემულია დანაშაულთა ობიექტური და სუბიექტური შემადგენლობის. რომის სტატუტის მე-6 მუხლში მოცემული გვაქვს გენოციდის დანაშაულის შემადგენლობა. აღნიშნული მუხლი ნაწილობრივ იმეორებს „გენოციდის თავიდან აცილებისა და დასჯის შესახებ“ კონვენციის ჩანაწერს. სტატუტის მიხედვით, გენოციდი ნიშნავს ეროვნული, ეთნიკური, რასობრივი ან რელიგიური ჯგუფის მთლიანი ან ნაწილობრივი განადგურების მიზნით ჩადენილ :

ა) ასეთი ჯგუფის წევრთა მკვლელობას;

ბ) ასეთი ჯგუფის წევრთათვის სხეულის მძიმე დაზიანების მიყენებას ან მათი ფსიქიკური მოშლილობის გამოწვევას;

გ) რომელიმე ჯგუფისათვის განზრახ ისეთი საარსებო პირობების შექმნას, რომლებიც მიზნად ისახავს მის მთლიან ან ნაწილობრივ ფიზიკურ განადგურებას;

დ) ისეთი ზომების გატარებას, რომელთა მიზანია ასეთ ჯგუფში შობადობისთვის ხელის შეშლა;

ე) ერთი ჯგუფიდან მეორეში ბავშვების იძულებით გადაცემას.⁷

აღნიშნული დანაშაულის შესარაცხად, აუცილებელია არსებობდეს მკაფიო მტკიცებულება, რომელიც ადასტურებს, რომ ზემოაღნიშნული ქმედებების განხორციელების მიზანი არის ეროვნული, ეთნიკური, რასობრივი ან რელიგიური ჯგუფის მთლიანი ან ნაწილობრივი განადგურება. აღნიშნული წარმოადგენს მკაცრ მოთხოვნას, რომელიც უნდა დაკმაყოფილდეს გენოციდის არსებობისთვის. აღნიშნულ საკითხს განმარტავს საერთაშორისო სისხლის სამართლის იუგოსლავიის ტრიბუნალი, საქმეზე პროკურორი, რადისლავ კრისტიჩის წინააღმდეგ: „გენოციდის სიმძიმე აისახება მკაცრ მოთხოვნებში, რომლებიც უნდა დაკმაყოფილდეს ამ განაჩენის გამოტანამდე. ეს მოთხოვნებია კონკრეტული განზრახვის დამტკიცება და იმის ჩვენება, რომ ჯგუფის ტარგეტირება მიზნად ისახავდა მის მთლიან ან არსებით ნაწილში განადგურებას. ბოსნიელი მუსლიმების ნაწილის ლიკვიდაციის მიზანი არის გენოციდი ჩადენილი ბოსნიის სერბული ძალების მიერ. ისინი მიზნად ისახავდნენ სრებრენიცაში მცხოვრები ორმოცი ათასი ბოსნიელი მუსლიმის, როგორც ჯგუფის განადგურებას.“ (Prosecutor V. Rdislav Kristic, 2004)⁸

როგორც ზემოთ აღინიშნა, ლემკინი გენოციდს განმარტავს როგორც ჯგუფების პირდაპირ განადგურებას, ასევე მათი პოლიტიკური და სოციალური ინსტიტუტების, ენის, ნაციონალური გრძნობის მოსპობას, რომლებიც ცხოვრების აუცილებელი საფუძვლებია. მიუხედავად ამისა, დღევანდელ საერთაშორისო სამართალში, ლემკინის ეს პოზიცია არ არის გაზიარებული. გენოციდის კონვენცია და ჩვეულებითი საერთაშორისო სამართალი კრძალავს მხოლოდ

7 საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს რომის წესდება, 1998

8 Prosecutor V. Rdislav Kristic, IT-98-33-A (International criminal tribunal Yugoslavia April 19, 2004).

ადამიანის ჯგუფის ფიზიკურ ან ბიოლოგიურ განადგურებას. იუგოსლავიის საერთაშორისო ტრიბუნალმა რადისლავ კრისტიჩის საქმეზე პირდაპირ აღიარა ეს შეზღუდვა. პალატამ განმარტა: „ჩვეულებითი საერთაშორისო სამართალი გენოციდის განმარტებას ზღუდავს იმ ქმედებებით, რომლებიც ითვალისწინებს ჯგუფის მთელი ან ნაწილის ფიზიკურ ან ბიოლოგიურ განადგურებას. ერთეული, რომელიც თავს ესხმის მხოლოდ ადამიანის ჯგუფის კულტურულ ან სოციოლოგიურ მახასიათებლებს, რათა გაანადგუროს ეს ელემენტები, რომლებიც ამ ჯგუფს აძლევს საკუთარ იდენტობას, არ თავსდება გენოციდის განსაზღვრებაში.“ (Prosecutor V. Rdislav Kristic, 2004)⁹

პარალელურად, გენოციდის დანაშაულის კვალიფიკაციის პროცესში შესაძლებელია, საჭირო გახდეს, შემაღენლობაში შემაგალი ჯგუფების ელემენტების განხილვა, თუ რამდენად წარმოადგენს დაზარალებული ჯგუფი ეროვნულ, ეთნიკურ, რასობრივ ან რელიგიურ ჯგუფებს. 1994 წლის აპრილ-ივნისში, რუანდაში განხორციელდა გენოციდი, რომელსაც „ტუტსის“ ტომის 800 000-მდე ადამიანი მოკლეს. აღნიშნული მოვლენები დაიწყო გასული საუკუნის 90-იან წლებში, როდესაც ინფორმაციის საშუალებებში ხდებოდა სიძულვილის ენის მასალების გავრცელება, რითიც „ჰუტუს“ ტომი აამხედრეს „ტუტსის“ ტომის წინააღმდეგ.¹⁰

რუანდის საერთაშორისო ტრიბუნალმა იმსჯელა, თუ რამდენად წარმოადგენდა მსხვერპლი „ტუტსის“ ტომი, რომის სტატუტში მითითებულ რომელიმე ჯგუფს. ტრიბუნალის პალატამ აღნიშნა, რომ ყველა მოწმე უცვლელად პასუხობდა სპონტანურად და უყოყმანოდ პროკურორის შეკითხვებს მათ ეთნიკურ იდენტურობასთან დაკავშირებით. შესაბამისად, პალატა მიიჩნევს, რომ ნებისმიერ შემთხვევაში, სავარაუდო მოვლენების დროს, ტუტსი ნამდვილად შეადგენდა სტაბილურ და მუდმივ ჯგუფს.¹¹ „..... პალატა მიიჩნევს, რომ რუანდაში, 1995 წელს, „ტუტსი“ შეადგენდა ჯგუფს, რომელსაც ოფიციალურ კლასიფიცირებაში ეთნიკურს უწოდებენ.“ (Prosecutor V. Jean-Paul Akayesu, 1998).

დასკვნის სახით, გენოციდის დანაშაულზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ იმპერატიულად, აუცილებელია რომის სტატუტის მე-6 მუხლში ჩამოთვლილი ეროვნული, ეთნიკური, რასობრივი ან რელიგიური ჯგუფების მთლიანი ან ნაწილობრივი განადგურების მიზანი გამოიკვეთოს. ასევე, აუცილებელია, მსხვერპლთა ჯგუფი მიეკუთვნებოდეს ზემოთ ჩამოთვლილ რომელიმე ელემენტს, რადგან არ ხორციელდება ჯგუფთა წრის გაფართოება. ამავდროულად, გენოციდის კონვენცია და საერთაშორისო ჩვეულებითი სამართალი კრძალავს მხოლოდ ადამიანთა ჯგუფების ფიზიკურ და ბიოლოგიურ განადგურებას. იმ შემთხვევაში, თუ თავდასხმა ხორციელდება მახასიათებლებზე, რომლებიც კონკრეტულ ჯგუფს აძლევს საკუთარ იდენტობას, აღნიშნული ქმედება არ დაკვალიფიცირდება როგორც გენოციდი.

9 Prosecutor V. Rdislav Kristic, IT-98-33-A (International criminal tribunal Yugoslavia April 19, 2004).

10 რუანდას გენოციდის საქმე. (თ. გ.). მოპოვებული მედიის განვითარების ფონდი: <http://millab.ge/ka/case-study/magaliti-1-ruandas-genocidis-saqme/23-დან>

11 Prosecutor V. Jean-Paul Akayesu, ICTR-96-4-T (International criminal tribunal Ruanda September 2, 1998).

2. დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ

რომის სტატუტის მე-7 მუხლი, განმარტავს თუ რა გარემოებებს უნდა აკმაყოფილებდეს ქმედება, რათა დავაკვალიფიციროთ კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულად.¹² ხსენებული დანაშაული სახეზე გვაქვს, როდესაც ხდება სამოქალაქო მოსახლეობის მკვლელობა, განადგურება, დამონება, დეპორტაცია ან მოსახლეობის იძულებითი გადაადგილება, დაპატიმრება ან ფიზიკური თავისუფლების სხვაგვარი უხეში ხელყოფა, ჩადენილი საერთაშორისო სამართლის ძირითადი წესების დარღვევით. წამება, გაუპატიურება, სქესობრივი დამონება, იძულებითი პროსტიტუცია, იძულებითი ორსულობა, სტერილიზაცია ან მსგავსი სიმძიმის ძალადობის ფორმები.

გარდა ამისა, შესაძლებელია ხორციელდებოდეს იდენტიფიცირებული ჯგუფის ან ერთობის დევნა პოლიტიკური, რასობრივი, ეროვნული, ეთნიკური, კულტურული, რელიგიური, გენდერული ნიშნის საფუძველზე. ასევე პირთა იძულებითი გაუჩინარება, აპარტიდის დანაშაული და ყველა სხვა ხასიათის არაადამიანური განზრახი ქმედება, რომელიც იწვევს მძიმე ტანჯვას, სხეულის მძიმე დაზიანებას ან/და სერიოზულ ზიანს აყენებს პირის ფსიქიკურ ან ფიზიკურ ჯანმრთელობას. იმისთვის, რომ ზემოჩამოთვლილი ქმედებები შეფასდეს, როგორც დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ, აუცილებელია, აღნიშნული ქმედებები ჩადენილ იქნას ნებისმიერ სამოქალაქო მოსახლეობაზე ფართომასშტაბიანი ან სისტემური თავდასხმის ფარგლებში. მთავარი ობიექტი ამ დანაშაულისა არის სამოქალაქო მოსახლეობა, რომელთა წინააღმდეგაც უნდა ხორციელდებოდეს ქმედებები. ამავდროულად, მე-7 მუხლი არ არის კუმულაციური. აპელირებულ დანაშაულად ქმედების კვალიფიკაციისთვის არ არის აუცილებელი სახეზე გვექონდეს, როგორც „ფართომასშტაბურობა“ ასევე „სისტემურობა“:

მოცემული ჩანაწერი განიმარტება, როგორც ალტერნატივა. შესაბამისად, კონკრეტულ მტკიცებულებების შეფასებისას, სახეზე გვექნება დამნაშავეს მხრიდან ფართომასშტაბიანი ან სისტემური თავდასხმა სამოქალაქო მოსახლეობაზე. რომის სტატუტის მე-7 მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი გვთავაზობს თუ რას გულისხმობს „ნებისმიერ სამოქალაქო პირზე თავდასხმა“. „ნებისმიერ სამოქალაქო პირზე თავდასხმა ნიშნავს ქმედებას, რომელიც მოიცავს პირველ პუნქტში მითითებულ ქმედებათა მრავალგზის ჩადენას, რომლებიც მიმართულია ნებისმიერი სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ, სახელმწიფოს ან ორგანიზაციის ასეთი თავდასხმის განხორციელებისაკენ მიმართული პოლიტიკის გატარების ან მისი ხელშეწყობის მიზნით“¹³

მოცემულ განმარტებაში, მოცემულია ორი სუბიექტი, რომელიც ახორციელებს აღნიშნულ ქმედებას. სახელმწიფო, რომლის რეკვიზიტებიც ნათელია საერთაშორისო სამართალში. თუმცა, კვალიფიკაციის დროს, რთულია განსაზღვროთ თუ რა მოცემულობა უნდა გვექონდეს სახეზე იმისათვის, რომ დავადგინოთ გარკვეულ ადამიანთა ერთობა წარმოადგენს თუ არა

12 საერთაშორისო სისხლის სასამართლოს რომის წესდება, 1998

13 საერთაშორისო სისხლის სასამართლოს რომის წესდება, 1998

ორგანიზაციას. აღნიშნულ საკითხს განმარტავს საერთაშორისო სისხლის სასამართლო. მისი განმარტებით, იმისათვის, რომ ქსელს/ორგანიზებულ ჯგუფს მიენიჭოს „ორგანიზაციის“ კვალიფიკაცია აუცილებელია, ასეთ ქსელს ჰქონდეს საშუალება მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ განახორციელოს ფართომასშტაბიანი ან სისტემური თავდასხმა. კერძოდ, თუ ქსელის წევრებს აქვთ სოლიდური კაპიტალი, იარაღი და ცოცხალი ძალა აღნიშნული მოგვცემს გონივრული ვარაუდის საფუძველს, რომ ქსელმა დასახა დანაშაულებრივი ქმედებები მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ, როგორც მისი ძირითადი მიზანი და რომ ნათლად გამოხატავდა სამოქალაქო მოსახლეობაზე თავდასხმის მიზანს.¹⁴

შესაბამისად, სათანადო გარემოებების არსებობით, თუ დგინდება ქსელის საშუალებების არსებობა, რომელსაც შეუძლია ზიანი მიაყენოს კაცობრიობას და ასევე ცხადია მიზანი ამ უკანასკნელის განხორციელებისა, შეგვიძლია დავაკვალიფიციროდ ქსელი, როგორც „ორგანიზაცია“.

კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის მსხვერპლი გახდა ქართველი მოსახლეობა 2008 წლის რუსეთ-საქართველოს შეიარაღებული კონფლიქტის დროს. კერძოდ, სამხრეთ ოსეთის ძალები 2008 წლის სექტემბერ-ოქტომბრის პერიოდში, არარეგულარულ შეიარაღებულ დაჯგუფებებთან ერთად, ახორციელებდნენ თავდასხმებს ე.წ. სამხრეთ ოსეთში განლაგებულ, საქართველოს მიერ კონტროლირებად სოფლებში, მშვიდობიან მოსახლეობაზე. თავდასხმების ძირითად სამიზნეს წარმოადგენდნენ ეთნიკური ქართველები. სისტემატიურად ადგილი ჰქონდა განზრახ სიცოცხლის წართმევას, ცემას, დაშინებას, დაპატიმრებას, სახლების ძარცვა/მოროდორობას და დაწვას.¹⁵ თავდასხმის ორგანიზებას აჩვენებდა ქმედებები, რომლის დროსაც სისტემატიურად ნადგურდებოდა ქართველების კუთვნილი სახლები. ასევე მოროდორობები გაძარცვული საკუთრების გამოტანისთვის იყენებდნენ სატვირთო მანქანებს, ასევე სახლებზე ცეცხლის წაკიდების წინ სახლებიდან და ფერმებიდან დამრღვევებს გამოჰქონდათ ფასიანი ნივთები.

ეთნიკურად ქართველ, მშვიდობიან მოსახლეობაზე თავდასხმების შედეგად, განხორციელდა 51-დან 113-მდე ეთნიკური ქართველის განზრახ მკვლელობა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის სოფლებიდან, ქალაქებიდან 13400-დან 18500-მდე ქართველი მოსახლის იძულებითი გადაადგილება. ეთნიკურად ქართველი მშვიდობიანი მოსახლეობის საკუთარი საცხოვრებელი ადგილიდან გამოძევების მიზნით, შიშის და ტერორის ატმოსფეროს შექმნისთვის, ე.წ. სამხრეთ ოსეთის სეპარატისტულმა შეიარაღებულმა ძალებმა გამოიყენეს შემდეგი ძალადობის ფაქტები: სიცოცხლის წართმევა, სასტიკი ცემა, სიტყვიერი შეურაცხყოფა, დაშინება და დამუქება, დაპატიმრება, ძარცვა/მოროდორობა და საკუთრების განადგურება.¹⁶

ზემოაღნიშნული ფაქტების გათვალისწინებით, საერთაშორისო სისხლის სასამართლოს მიერ, 2015 წელს, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება „პროკურორის შუამდგომლობაზე

14 Prosecutor V. William Samoei Ruto, Henry Kiprono kosegy and Joshua Arap Sang, Decision on the prosecutor's application for summons (International criminal court March 8, 2011).

15 council, E. (2009). საქართველოში მომხდარ კონფლიქტთან დაკავშირებული ფაქტების დამდგენი. IIFFMCG.

16 council, E. (2009). საქართველოში მომხდარ კონფლიქტთან დაკავშირებული ფაქტების დამდგენი კომისია. IIFFMCG.

გამოძიების დაწყების უფლებამოსილების შესახებ.“პალატა თვლის, სამხრეთ ოსეთის ძალების ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის წინააღმდეგ ჩატარებული ზემოხსენებული ძალადობის კამპანია, სტატუტის მე-7 (2) (a) მუხლის შესაბამისად, წარმოადგენს თავდასხმას მშვიდობიან მოსახლეობაზე“ (გადაწყვეტილება პროკურორის შუამდგომლობაზე გამოძიების დაწყების შესახებ, 2015)¹⁷ ამავდროულად, პალატამ დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა მკვლევობას, მოსახლეობის დეპორტაციას და იძულებით გადაადგილებას, ასევე დევნას, რომელიც ექცევა სტატუტის მე-7 მუხლის რეგულირების სფეროში.

3. ომის დანაშაული

ომის დანაშაულის განხილვისას, აუცილებელია ერთმანეთისგან განვასხვაოთ jus ad bellum და jus in bello რეგულირება.¹⁸ Jus ad bellum გულისხმობს ომის დაწყების უფლებას. რამდენად აქვს სახელმწიფოს უფლება, საერთაშორისო სამართლის რეგულირების გათვალისწინებით, გამოიყენოს ძალა კონკრეტული სახელმწიფოს წინააღმდეგ. Jus ad bellum რეგულირებას ქმნის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ქარტია. მოცემული დოკუმენტის 2 მუხლის 4 პუნქტის მიხედვით, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყველა წევრი სახელმწიფო, საერთაშორისო ურთიერთობებში თავს იკავებს ძალის, მუქარის ან მისი გამოყენებისგან, როგორც ნებისმიერი სახელმწიფოს ტერიტორიული ხელშეუხებლობის ან პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ, ისე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზნებისთვის შეუფერებელი სხვა სახით.¹⁹

მოცემული ჩანაწერით, გაეროს წევრ სახელმწიფოებს ეკრძალებათ ძალის ან მისი მუქარის გამოყენება. მიუხედავად ამისა, არსებობს გამონაკლისი შემთხვევები, როდესაც სახელმწიფოს ენიჭება უფლება სამხედრო ძალა გამოიყენოს. გაეროს ქარტიის 51 მუხლის მიხედვით, სახელმწიფოს გააჩნია ხელშეუვალი (თანდაყოლილი) თავდაცვის უფლება, რომელიც ანიჭებს მას უფლებას გამოიყენოს სამხედრო ძალა.²⁰ თავდაცვის უფლების გამოყენებისთვის უნდა არსებობდეს შესაბამისი ვითარება: 1. საჭიროება უნდა იყოს მყისიერი და გადაულახავი (აბსოლუტური), არ ტოვებდეს არჩევანის შესაძლებლობას და განსახილველ დროს; 2. საჭიროა, თავდაცვის დროს გამოყენებული ძალა იყოს ქვეყნის წინააღმდეგ გამოყენებული ძალის პროპორციული; 3. სახელმწიფო, თავდაცვის უფლების გამოყენების პროცესში არ უნდა

17 საქართველოს გადაწყვეტილება პროკურორის შუამდგომლობაზე გამოძიების დაწყების შესახებ (International criminal court 2015).

18 Kant, I. (1887). *The Philosophy of Law. An Exposition on the Fundamental Principles of Jurisprudence as the Science of Right*.

19 Charter of the United Nations- Article 2, 1945.

20 Charter of the United Nations- Article 51, 1945.

გადადიოდეს საპასუხო, დამსჯელ ქმედებებზე, 4. აუცილებელია, სახეზე იყოს შეიარაღებული თავდასხმა.²¹

ამავდროულად, საერთაშორისო სამართლის პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ შესაძლებელია სახელმწიფოს წარმოეშვას მოსალოდნელი თავდაცვის უფლება. ეს უკანასკნელი წარმოიშვება მაშინ, როდესაც სახეზეა საკმარისი მტკიცებულებები იმისა, რომ არსებობს არა უბრალოდ თავდასხმის პოტენციური რისკი, არამედ რისკი, როდესაც შეტევა უკვე განხორციელების პროცესშია (დაიწყო) თუმცა ზღვარი არ გადმოუკვეთავს.²² აღნიშნული მიზეზი გამოიყენა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და დიდმა ბრიტანეთმა, რათა 2003 წელს ერაყში შეჭრილიყვნენ. კერძოდ, მათი მტკიცებით, ისინი ფლობდნენ მტკიცებულებებს, რაც ადასტურებდა, რომ ერაყის პრეზიდენტი სადამ ჰუსეინი ფლობდა მასობრივი განადგურების იარაღს. ამიტომაც, საჭიროდ ჩათვალეს ძალის გამოყენება, რადგან თუ სადამ ჰუსეინი გამოიყენებდა ზემოაღნიშნულ იარაღს მათ წინააღმდეგ, პასუხის გაცემა დაგვიანდებოდა.²³

როგორც ზემოთ აღინიშნა, იმისათვის, რათა სახელმწიფოს წარმოეშვას თავდაცვის თანდაყოლილი უფლება, აუცილებელია, სახეზე იყოს შეიარაღებული თავდასხმა. აქვე შესაძლებელია დაგვებადოს კითხვა თუ ვის მიერ უნდა იქნეს თავდასხმა განხორციელებული? აღნიშნულ კითხვაზე პასუხი 2001 წელს გასცა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, როდესაც ძალა გამოიყენა ავღანეთის წინააღმდეგ. მათი განმარტებით, 2001 წლის 11 სექტემბერს, ტერორისტულმა დაჯგუფებებმა „ალ ქაიდა“ და „თალიბანმა“ განახორციელეს შეიარაღებული თავდასხმა ამერიკის ტერიტორიაზე.²⁴ მოცემული დაჯგუფებებს ხელს არ უშლიდა ავღანეთის მთავრობა, ამიტომ აშშ-მ დაიწყო ოპერაცია – „enduring freedom“ და იერიში მიიტანა მთლიანად იმ დაჯგუფებაზე, რომლებმაც ტერაქტი განახორციელეს ამერიკის ტერიტორიაზე. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შესაძლებელია, თავდასხმას ახორციელებდეს როგორც სახელმწიფო ასევე სხვადასხვა ტერორისტული/შეიარაღებული დაჯგუფება.

გაეროს წესდება, გარდა თავდაცვის თანდაყოლილი უფლებისა, უშვებს კიდევ ერთ გამონაკლისს, როდესაც შესაძლებელია სახელმწიფოს მიერ სამხედრო ძალის გამოყენება. გაეროს ქარტიის მიხედვით, უშიშროების საბჭო, როდესაც აძლევს ნებართვას სახელმწიფოს ძალის გამოყენებისა, ამ შემთხვევაში, სახელმწიფოს ენიჭება უფლება სამხედრო ძალა გამოიყენოს.

გაეროს წესდების 41 მუხლის მიხედვით, უშიშროების საბჭოს აქვს უფლებამოსილება, გადაწყვიტოს შეიარაღებული ძალების გამოყენებასთან დაკავშირებული როგორი ზომები უნდა იქნას მიღებული.²⁵ ასევე, საბჭოს შეუძლია მოთხოვოს ორგანიზაციის წევრებს ამ ზომების შესრულება. ეს ზომები შეიძლება იყოს ეკონომიკურ ურთიერთობათა, სარკინიგზო,

21 council, E. (2009). *საქართველოში მომხდარ კონფლიქტთან დაკავშირებული ფაქტების დამდგენი კომისია*. IIFMCG.

22 მარიამ ნუცუბიძე, თ. შ. (2018). ჰიბრიდული ტრიბუნალი: სამართლის და პოლიტიკის განხორციელების მექანიზმი ?! (სადამ ჰუსეინის საქმის მაგალითზე).

23 სამინისტრო, ს. ს. (თ. გ.). *საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ*. მოპოვებული ნატოს სამშობლო მისიები: <https://old.infocenter.gov.ge/peacekeeping-missions/#1-დან>

24 Editors, H. (2010, February 10). *History.com*. Retrieved from HISTORY: <https://www.history.com/topics/21st-century/9-11-attacks>

25 Charter of The United Nations- Article 41, 1945.

საჰაერო, საფოსტო, სატელეგრაფო, რადიო ან კავშირგაბმულობის სხვა საშუალებათა სრული ან ნაწილობრივი გაწყვეტა. აგრეთვე, დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტა. თუმცა, თუ შეიქმნება მოცემულობა, რომ ზემოაღნიშნული ზომები არ იქნება საკმარისი, უშიშროების საბჭო უფლებამოსილია, განახორციელოს ისეთი ქმედებები საჰაერო, საზღვაო ან სახმელეთო ძალებით, რომლებიც აუცილებელი იქნება საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების აღსადგენად. ასეთი ქმედებები შეიძლება მოიცავდეს დემონსტრაციებს, ბლოკადას ან ორგანიზაციის წევრების საჰაერო, საზღვაო ან სახმელეთო ძალების სხვა ოპერაციებს.²⁶

3.1 2008 წელს საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის მიერ ძალის გამოყენების კანონიერება

რუსეთის ფედერაციამ, 2008 წელს განხორციელებული სამხედრო ინტერვენციის გამართლება რამდენიმე მიზეზით სცადა. კერძოდ, 1. ე.წ. სამხრეთ ოსეთში მცხოვრები რუსეთის მოქალაქეების დაცვა, 2. ე.წ. სამხრეთ ოსეთში მყოფი რუსი მშვიდობისმყოფელების დაცვა, 3. ჰუმანიტარული ინტერვენცია, 4. მოქალაქეთა დაცვის ვალდებულება.²⁷

ზემოაღნიშნული მსჯელობიდან ნათლად გამოიკვეთა, თუ რა შემთხვევაში ეძლევა სახელმწიფოს გამოიყენოს სამხედრო ძალა თანდაყოლილი თავდაცვის უფლების წარმოშობის და გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ ავტორიზებულ შემთხვევებში. არავინ ხდის სადაოს იმ გარემოებას, რომ რუსეთს უშიშროების საბჭოსგან საქართველოში ძალის გამოყენების ავტორიზაცია არ ჰქონია.²⁸ ამიტომ, მისი ინტერვენციის კანონიერება მთლიანად დამოკიდებულია თუ რამდენად მოქმედებდა რუსეთი გაეროს ქარტიის 51 მუხლით დადგენილი რეგულირების ფარგლებში.

რუსეთის მხარის პოზიციით, რუსეთის წინააღმდეგ თავდასხმას უთანაბრდებოდა ე.წ.სამხრეთ ოსეთში მყოფი მოქალაქეებისა და მშვიდობისმყოფელების წინააღმდეგ განხორციელებული თავდასხმა. შესაბამისად, მათ ჰქონდათ სრული უფლება, თავდაცვის თანდაყოლილი უფლების საფუძველზე, გამოეყენებინათ სამხედრო ძალა. იმისათვის, რათა სიღრმისეულად შევაფასოთ თუ რამდენად მოქმედებდა რუსეთი თავდაცვის უფლებით, საჭიროა, განვიხილოთ რუსეთის ფედერაციის მიერ დასახელებული ყველა მიზეზი.

26 Charter of The United Nations- Article 42, 1945.

27 ძამაშვილი, ბ. (2013). 2008 წლის აგვისტოში რუსეთის საქართველოში ინტერვენციის კანონიერება ძალის გამოყენების აკრძალვის სამართლის ქრილში. *თანამედროვე სამართლის მიმოხილვა*, 117-136.

28 ძამაშვილი, ბ. (2013). 2008 წლის აგვისტოში რუსეთის საქართველოში ინტერვენციის კანონიერება ძალის გამოყენების აკრძალვის სამართლის ქრილში. *თანამედროვე სამართლის მიმოხილვა*, 117-136.

3.1.1. ე.წ. სამხრეთ ოსეთში მცხოვრები რუსეთის მოქალაქეების დაცვა

რუსეთის ფედერაციამ სამხედრო ინტერვენციის დაწყებამდე განახორციელა „პასპორტიზაციის“ პოლიტიკა, რაც გულისხმობდა მასიურად რუსეთის მოქალაქეობის მინიჭებას და პასპორტების გაცემას იმ პირებზე, რომლებიც ცხოვრობდნენ ე.წ. სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ტერიტორიაზე.²⁹ 2003 წლამდე, რუსეთის მოქალაქეობის მინიჭება ინდივიდუალური შემთხვევების განხილვით ხდებოდა, მაგრამ 2003 წლიდან, რუსეთის „მოქალაქეობის შესახებ“ კანონში შევიდა ცვლილებები, რომლის საფუძველზეც, აფხაზეთში და ე.წ. სამხრეთ ოსეთში მცხოვრებ პირებს გაეხსნათ კარი განაცხადი შეეტანათ რუსეთის მოქალაქეობის მისაღებად.

გარდა ამისა, ზემოაღნიშნული ცვლილებები ადგენდა მოქალაქეობის მიღების გამარტივებულ პროცედურას. მოქალაქეობის მისაღებად მთავარი მოთხოვნა იყო, რომ აპლიკანტსა და სახელმწიფოს შორის, ამ შემთხვევაში რუსეთს შორის, ყოფილიყო ადეკვატური ფაქტობრივი კავშირი. მიუხედავად ამისა, აღნიშნული გადაწყვეტილება არ ანიჭებს სახელმწიფოს თვითნებობის შესაძლებლობას. აუცილებელია, მშობლიური სახელმწიფოს თანხმობა, რათა პირმა მოქალაქეობა მიიღოს. შესაბამისად, რუსეთის მოქალაქეობის მასიური გაცემა, საქართველოს მოქალაქეებისთვის და პასპორტების მასიური დარიგება საქართველოს ტერიტორიაზე, საქართველოს მთავრობის თანხმობის გარეშე, ეწინააღმდეგება კეთილმეზობლური პოლიტიკის პრინციპებს, რაც საქართველოს სუვერენიტეტს სირთულეებს უქმნის და წარმოადგენს საქართველოს შიდა საქმეებში ჩარევას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ე.წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე რუსეთის მოქალაქეების დაცვის მიზნით განხორციელებული ინტერვენცია უსაფუძვლოა და არ აკმაყოფილებს გაეროს ქარტიის 51 მუხლით დადგენილ მოთხოვნებს.

3.1.2. რუსი მშვიდობისმყოფელების დაცვა

1992 წლის სოჭის ხელშეკრულების საფუძველზე, რუსი მშვიდობისმყოფელები იმყოფებოდნენ ე.წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე.³⁰ სწორედ ამიტომ, რუსი მშვიდობისმყოფელების ე.წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე განლაგების სამართლებრივი საფუძველიანობა კითხვის ნიშნის ქვეშ არ დგას.

ცხინვალის რეგიონში ვითარება 2008 წლის 1 აგვისტოდან გამწვავდა, როდესაც ე.წ. სამხრეთ ოსეთის სეპარატისტული რეჟიმის წარმომადგენლებმა დაიწყეს შეტევა ქართულ სოფლებზე – ზემო და ქვემო ნიქოზე, ავნეზე, ერგნეთზე და ერედზე ხორციელდებოდა შეტევა ტყვიამრფევევისა და ბომბების გამოყენებით.³¹ ამ პერიოდში, ცხინვალში განლაგებულნი იყვნენ

29 council, E. (2009). საქართველოში მომხდარ კონფლიქტთან დაკავშირებული ფაქტების დამდგენი კომისია. IIFMCG.

30 ქართულ – ოსური კონფლიქტის დარეგულირების პრინციპების შესახებ 1992 წლის 14 ივნისის სოჭის შეთანხმება.

31 აბრამიშვილი, ნ. (თ. გ.). რუსეთ-საქართველოს შეიარაღებული კონფლიქტი და ძალის გამოყენების აკრძალვა

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის ქვედანაყოფები, რომელთა მიმართულებით ცეცხლი გაიხსნა. საქართველოს მხრიდან, რუსი სამშვიდობოების წინააღმდეგ თავდასხმა არ განხორციელებულა. თუმცა, რომც დავუშვათ, რომ საქართველოს ძალებმა იერიში მიიტანეს მათზე, რუსეთის მიერ განხორციელებული სამხედრო მოქმედებების კამპანია საქართველოს ტერიტორიის სიღრმეში ცდება თავდაცვის უფლების პროპორციულობის ელემენტს. კერძოდ, რუსეთის მხრიდან განხორციელდა მასიური და ხანგრძლივი საბრძოლო მოქმედებები, რომელიც მოიცავდა კოდორის ხეობის ზედა ნაწილის დაბომბვას, შეიარაღებული ჯარების განლაგებას საქართველოს ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილის დაფარვის მიზნით, სამხედრო პოზიციების გამაგრებით, ქართული ქალაქების, ძირითადი საგზაო მაგისტრალის კონტროლის მიზნით და შავ ზღვაზე სამხედრო ძალების განლაგებას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, თუნდაც საქართველოს განხორციელებინა თავდასხმა რუს მშვიდობისმყოფელებზე, გაეროს ქარტიის 51 მუხლი არ აძლევდა რუსეთს შესაძლებლობას, არაპროპორციული სამხედრო ძალა გამოყენებინა ქართული მხარის წინააღმდეგ. შესაბამისად, რუსეთის მხრიდან განხორციელებული ინტერვენცია მშვიდობისმყოფელების დაცვის მიზნით არის გაუმართლებელი და არღვევს საერთაშორისო სამართალს.

3.1.3. ჰუმანიტარული ინტერვენცია

ჰუმანიტარული ინტერვენცია, ძალის გამოყენებით, ადამიანის უფლებათა დარღვევის აღკვეთის მიზნით, დასაშვებია მხოლოდ უკიდურეს შემთხვევებში. მიუხედავად ამისა, იურისტებში არსებობს დისკუსია თუ რამდენად უნდა იყოს ჰუმანიტარული ინტერვენციის მიზნით სამხედრო ძალა გამოყენებული.

ე.წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე, არ განხორციელებულა ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევა, რომელიც ამოქმედებდა ახალ დაცვის ვალდებულების (Responsibility to protect) კონცეფციას, რომელიც მიმართულია საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ ადამიანის უფლებების სერიოზულ დარღვევების შემთხვევაში ეფექტური რეაგირებისთვის, როდესაც გაეროს უშიშროების საბჭოს არ/ვერ შეუძლია რეაგირების მოხდენა.³² გარდა ამისა, რუსეთის ფედერაცია განსაკუთრებული თანმიმდევრულობით და დაჟინებით ეწინააღმდეგებოდა ნებისმიერ განცხადებას კოსოვოში ნატოს ინტერვენციის ჰუმანიტარული მიზნების შესახებ. შესაბამისად, იგი ვერ გამოიყენებდა მის მიერვე ფორმალურად არაღიარებულ დასაბუთებას საქართველოს ტერიტორიაზე საკუთარი ინტერვენციის გასასამართლებლად.³³

საერთაშორისო სამართლის ფარგლებში.

32 <https://www.un.org/en/genocideprevention/about-responsibility-to-protect.shtml>

33 council, E. (2009). საქართველოში მომხდარ კონფლიქტთან დაკავშირებული ფაქტების დამდგენი კომისია. IIFMCG.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, რუსეთის მიერ დასახელებული მიზეზი „ჰუმანიტარული ინტერვენცია“ უსაფუძვლოა, ძალის გამოყენების გასასამართლებლად.

3.1.4. მოქალაქეთა დაცვის ვალდებულება

რუსეთის კონსტიტუციის 61 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „რუსეთის ფედერაცია უზრუნველყოფს საკუთარი მოქალაქეების დაცვასა და მფარველობას ქვეყნის საზღვრებს გარეთ“³⁴ არ არსებობს ჩვეულებითი სამართალი, რომელიც მსგავსი ქმედებების ლეგიტიმურობას აღიარებს. იმ შემთხვევაში, თუ მსგავსი ქმედებების დაშვება მოხდება,³⁵ საჭირო იქნება მათი მასშტაბებისა და ხანგრძლივობის შეზღუდვა და კონცენტრირება მხოლოდ მოქალაქეთა გადარჩენაზე, ევაკუაციაზე. რუსეთის მხრიდან განხორციელებული ქმედებები სცდება დადგენილ სტანდარტებს და არის საერთაშორისო სამართლის დარღვევა.

ზემოაღნიშნული ფაქტების გათვალისწინებით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ რუსეთის მხრიდან სამხრეთ ოსეთში სამხედრო ინტერვენცია არღვევს საერთაშორისო სამართალს.

3.2 სამხედრო დანაშაული *jus in bello*

რომის სტატუტის მე-8 მუხლში მოცემულია სამხედრო დანაშაულის შემადგენლობა.³⁶ თუმცა, ვიდრე თავად სამხედრო დანაშაულს შევხებით, აუცილებელია, განვიხილოთ თუ რას გულისხმობს *jus in bello*, რომელიც კავშირშია *jus ad bello* მოცემულობასთან. *Jus in bello* არეგულირებს შეიარაღებული ძალების ქმედებებს.³⁷ ძალის გამოყენებას შეიარაღებული კონფლიქტის დროს, თუ რა სამხედრო მოქმედებების განხორციელების უფლება აქვს ბრძოლის დროს მხარეს. აღნიშნული სფეროს მთლიანად არეგულირებს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი, კონკრეტულად 1949 წლის 12 აგვისტოს უნევის კონვენციები, რომლებიც ეხება პირთა დაცვას შეიარაღებული კონფლიქტის შედეგებისაგან.³⁸

უნევის კონვენციები ეხმიანება შემდეგ საკითხებს: 1. ბრძოლის ველზე დაჭრილთა მდგომარეობის გაუმჯობესება; 2. ბრძოლის ველზე დაჭრილ და გემით დაღუპულ შეიარაღებული ძალების წევრების მდგომარეობის გაუმჯობესება; 3. ომის ტყვის მიმართ მოპყრობისა და სამოქალაქო პირთა დაცვა ომის დროს; 4. სამოქალაქო პირების დაცვა, რომლებიც შეიარაღებულ მოქმედებებსა და ოკუპაციის შედეგად იყვნენ იმ სახელმწიფოს ძალის ქვეშ, რომლის მოქალაქეებიც არ იყვნენ.

34 რუსეთის კონსტიტუცია, 1993.

35 ძამაშვილი, ბ. (2013). 2008 წლის აგვისტოში რუსეთის საქართველოში ინტერვენციის კანონიერება ძალის გამოყენების აკრძალვის სამართლის ჭრილში. *თანამედროვე სამართლის მიმოხილვა*, 117-136.

36 საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს რომის წესდება, 1998.

37 Kant, I. (1887). *The Philosophy of Law. An Exposition on the Fundamental Principles of Jurisprudence as the Science of Right*.

38 უნევის კონვენცია მოქმედ ჯარში დაჭრილთა და ავადმყოფთა მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ, 1949.

ყენევის კონვენციებისთვის საერთოა მეორე მუხლი, რომელიც განსაზღვრავს თუ როდის ვრცელდება ზემოაღნიშნული კონვენციები. საერთო მუხლი აწესებს, რომ კონვენცია „უნდა გავრცელდეს გამოცხადებული ომის ყველა შემთხვევაში ან სხვა შეიარაღებული კონფლიქტის დროს, რომელიც მიმდინარეობს ორი ან მეტი მაღალი ხელშემკვრელ წევრს შორის იმის მიუხედავად, საომარი მდგომარეობა არის თუ არა მათ მიერ აღიარებული და ყველა შემთხვევაზე, სადაც არის მაღალი ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიის ნაწილობრივი თუ სრული ოკუპაცია მაშინაც კი, თუ ამ ოკუპაციას არ ექმნება შეიარაღებული წინააღმდეგობა“³⁹(ყენევის კონვენცია მოქმედ ჯარში დაჭრილთა და ავადმყოფთა მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ მე-2 მუხლი, 1949)

სამხედრო დანაშაული მხოლოდ მაშინ გვაქვს სახეზე, როდესაც ხდება ყენევის კონვენციების მძიმე დარღვევები. კერძოდ, განზრახ მკვლელობა, წამება ან არაადამიანური მოპყრობა, მათ შორის, ბიოლოგიური ექსპერიმენტები, მძიმე ტანჯვის, სხეულის მძიმე დაზიანების ან ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენება, საკუთრების უკანონო, უაზრო და ფართომასშტაბიანი განადგურება და მითვისება, რაც არ არის გამართლებული სამხედრო აუცილებლობით, სამხედრო ტყვის ან სხვა დაცული პირის იძულება, იმსახუროს მოწინააღმდეგე სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალებში, სამხედრო ტყვის ან სხვა დაცული პირისთვის სამართლიანი და ნორმალური სასამართლო განხილვის უფლების ჩამორთმევა, უკანონო დეპორტაცია ან გადაადგილება, უკანონო თავისუფლების აღკვეთა, მძევლების აყვანა და ა.შ.⁴⁰

ზემოაღნიშნული ქმედებები თუ ხორციელდება ყენევის კონვენციებით დაცული პირების ან საკუთრების წინააღმდეგ, დაკვალიფიცირდება როგორც სამხედრო დანაშაული. მაგალითად, ყენევის 3 კონვენციის, მე-4 მუხლი მოიცავს კონფლიქტის მხარის შეიარაღებული ძალების წევრებს და სხვა ჯგუფებს, მოხალისეთა რაზმების წევრებს, ორგანიზებული წინააღმდეგობის ჯგუფების ჩათვლით, რომლებიც მიეკუთვნება კონფლიქტის მხარეს და სახეზეა შემდეგი ქმედებები: 1. მათ მეთაურობს პირი, რომელიც პასუხს აგებს ქვეშევრდომებზე 2. აქვთ განსაზღვრული, შორიდან გასარჩევი განმასხვავებელი ნიშანი 3. ღიად ატარებენ იარაღს 4. ოპერაციების განხორციელებისას მოქმედებენ ომის კანონებსა და ჩვეულებების შესაბამისად.⁴¹ იმ შემთხვევაში, თუ სახეზე გვექნება შესაბამისი მტკიცებულებები, რომელიც მიუთითებს ზემოაღნიშნული რეგულირების დარღვევას, სახეზე გვექნება სამხედრო დანაშაული.

სამხედრო დანაშაული, კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებისაგან განსხვავებით, შეიძლება ცალკეული ჯარისკაცების მიერ ჩადენილი კონკრეტული ქმედებები იყოს. თუმცა, სასამართლოს იურისდიქცია ვრცელდება დანაშაულებზე, რომლებიც ჩადენილია როგორც გარკვეული გეგმის ან პოლიტიკის ნაწილი, რომლის მიზანია ასეთ დანაშაულთა ფართომასშტაბიანი ჩადენა.

როგორც უკვე აღინიშნა, სამხედრო დანაშაულის ჩადენა შესაძლებელია ცალკეული ჯარისკაცების მხრიდან. შესაბამისად, პრაქტიკაში შესაძლოა კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს,

39 ყენევის კონვენცია მოქმედ ჯარში დაჭრილთა და ავადმყოფთა მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ- 2 მუხლი, 1949.

40 საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს რომის წესდება, 1998.

41 ყენევის კონვენცია მოქმედ ჯარში დაჭრილთა და ავადმყოფთა მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ- 4 მუხლი, 1949.

თუ როდის დგება სახელმწიფოს პასუხისმგებლობის საკითხი სამხედრო დანაშაულებისთვის. აღნიშნულ კითხვაზე, პასუხი გასცა ყოფილი იუგოსლავიის ტრიბუნალმა, დუსკო ტადიჩის საქმეზე⁴², კერძოდ „იმისათვის, რომ სამხედრო ან გასამხედროებული ჯგუფების ქმედებები მიეკუთვნებოდეს სახელმწიფოს, უნდა დადასტურეს, რომ სახელმწიფო ახორციელებს ზოგად კონტროლს ჯგუფზე, არამხოლოდ აღჭურვილობითა და დაფინანსებით, არამედ მისი სამხედრო საქმიანობის კოორდინაციითა ან დახმარებით. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება სახელმწიფოს საერთაშორისო პასუხისმგებლობა დაეკისროს ჯგუფის ნებისმიერი გადაცდომის გამო. ამასთან, არ არის აუცილებელი, სახელმწიფომ გასცეს საერთაშორისო სამართლის საწინააღმდეგო ინსტრუქციები კონკრეტული აქტების ჩადენის შესახებ, ან ჯგუფის ხელმძღვანელებისთვის ან ჯგუფის წევრებისთვის.“ (Prosecutor V. Dusko Tadic, the appeal chamber, 1999)

გარდა ამისა, შესაძლებელია წარმოიშვას კითხვა, თუ როდის იწყება შეიარაღებული კონფლიქტი, რომელსაც ყოფილი იუგოსლავიის ტრიბუნალმა, ტადიჩის საქმეზე გასცა პასუხი⁴³. ტრიბუნალმა მიუთითა, რომ „შეიარაღებული კონფლიქტი არსებობს მაშინ, როდესაც იწყება შეიარაღებული ძალის გამოყენება სახელმწიფოებს შორის ან ხორციელდება განგრძობითი შეიარაღებული ძალადობა სამთავრობო ორგანოებსა და ორგანიზებულ შეიარაღებულ ჯგუფებს შორის ან სახელმწიფოს ასეთ ჯგუფებს შორის.“ (Prosecutor V. Dusko Tadic, Decision on the defence motion for interlocutory appeal on jurisdiction, 1999)

ზემოაღნიშნული მსჯელობის გათვალისწინებით, სახელმწიფოს პასუხისმგებლობის საკითხი დადგება მაშინ, როდესაც სახელმწიფო ახორციელებს სამხედრო საქმიანობის კოორდინაციას და დახმარებას, ასევე აღჭურვილობით და ფინანსური დახმარების მეშვეობით. შეიარაღებული კონფლიქტი კი იწყება მაშინ, როდესაც იწყება შეიარაღებული ძალის გამოყენება სახელმწიფოებს შორის.

3.2.1 საერთაშორისო და არასაერთაშორისო ხასიათის შეიარაღებული კონფლიქტები, მე-4 თავის ომის კონცეფცია.

შეიარაღებული კონფლიქტების პროცესში განასხვავებენ საერთაშორისო და არასაერთაშორისო ხასიათის შეიარაღებულ კონფლიქტებს, რომელიც საჭიროებს მკაფიო განმარტებას.

საერთაშორისო ხასიათის კონფლიქტი სახეზე გვაქვს მაშინ, როდესაც ერთმანეთს უპირისპირდება ორი ან მეტი სახელმწიფო, ხოლო არასაერთაშორისო ხასიათის კონფლიქტის დროს ერთმანეთს უპირისპირდება სახელმწიფო და არასამთავრობო შეიარაღებული

42 Prosecutor V. Dusko Tadic, the appeal chamber (International criminal tribunal Yugoslavia July 15, 1999).

43 Prosecutor V. Dusko Tadic, Decision on the defence motion for interlocutory appeal on jurisdiction (International criminal tribunal Yugoslavia 1999).

დაჯგუფებები.⁴⁴ ეს უკანასკნელნი, შესაძლოა, იყვნენ სეპარატისტები, კრიმინალური კარტელის წევრები, მეკობრეები, ტერორისტები ან ამბოხებულები.

მიუხედავად იმისა, რომ ზემოთჩამოთვლილი სუბიექტები ითვლებიან არასახელმწიფოებრივ აქტორებად, რომლებიც ხშირ შემთხვევებში, სახელმწიფოსთან პირდაპირ სამხედრო კონფლიქტს ახორციელებენ.⁴⁵ ამის მაგალითია, საქართველოში 1992-93 წლებში აფხაზეთის კონფლიქტი, სადაც ერთმანეთს დაუპირისპირდა ქართული სამთავრობო ძალები და აფხაზი სეპარატისტები, ასევე 2008 წელს. ე.წ. სამხრეთ ოსეთში განვითარებული მოვლენები.⁴⁶ გარდა ამისა, არასახელმწიფოებრივ აქტორებად შეგვიძლია მივიჩნიოთ ტერორისტული დაჯგუფებები: „ალ-ქაიდა“ – სუნიტური მიმართულების რადიკალური ორგანიზაცია, რომელმაც მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში მრავალი ტერორისტული აქტი განახორციელა. ყველაზე ცნობილია 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტი. „თალიბანი“ – უკიდურესად კონსერვატიული, რადიკალური ისლამისტური ორგანიზაცია, რომელიც აქტიურად უჭერდა მხარს ისლამისტურ-ფუნდამენტალიზმთა ტერორიზმს.⁴⁷

როგორც ზემოთ აღინიშნა, რომის სტატუსის მე-8 მუხლი კრიმინალიზებულ ქმედებად აცხადებს სამხედრო დანაშაულების ჩადენას. მიუხედავად ამისა, არსებული ჩანაწერი ვერ აწესრიგებს თანამედროვე ომის წარმოების დროს განხორციელებული ქმედებების რეგულირებას. დღევანდელ მოცემულობაში, განსაზღვრულია მეოთხე თაობის ომის კონცეფცია, რომელსაც აქვს კონკრეტული ელემენტები.

მეოთხე თაობის ომი არ იწარმოება მხოლოდ სამხედრო რესურსით. აღნიშნული იწარმოება მაღალი დონის ტექნოლოგიების გამოყენებით, რაც გამოხატულებას ჰპოვებს სხვადასხვა სახის კიბერთავდასხმებში, რომლის დროსაც, შესაძლებელია, სტრატეგიული ობიექტების მწყობრიდან გამოყვანა. ასევე, ტერორიზმი, რომლის მიზანიცაა მოსახლეობის დაშინება ან ხელისუფლების ორგანოს, უცხო ქვეყნის ხელისუფლების ორგანოს ან საერთაშორისო ორგანიზაციის იძულება, შეასრულოს ან არ შეასრულოს ესა თუ ის მოქმედება, ან ქვეყნის/უცხო ქვეყნის/საერთაშორისო ორგანიზაციის ფუნდამენტური პოლიტიკური, კონსტიტუციური, ეკონომიკური ან სოციალური სტრუქტურების დესტაბილიზაცია ან განადგურება.⁴⁸

ამავდროულად, მეოთხე თაობის ომს ახასიათებს პირდაპირი შეტევა მტრის კულტურასა და იდეოლოგიაზე, ფსიქოლოგიური ომის ხელოვნება, რომელსაც მედიასაშუალებები ახორციელებენ და მოწინააღმდეგეზე მოკლევადიანი და მაღალი ინტენსივობის შეტევის განხორციელება, რომლის მიზანია მისთვის მოწყვლადობის, სისუსტის და გამოფიტვის შეგრძნების თავსმობვევა.⁴⁹

44 უნენვის კონვენცია მოქმედ ჯარში დაჭრილთა და ავადმყოფთა მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ, 1949

45 ვახტანგ მაისაია, ალიკა გუჩუა. (2020). ნატო და არასახელმწიფოებრივი აგრესიული რელიგიური აქტორები. თბილისი: კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი.

46 გვიანიძე, მ. (2020). საქართველოში არსებული კონფლიქტები, გენოციდის და ეთნიკური წმენდის პრობლემები. თბილისი: გურამ თავართქილაძის სახელობის უნივერსიტეტი.

47 ვახტანგ მაისაია, ალიკა გუჩუა. (2020). ნატო და არასახელმწიფოებრივი აგრესიული რელიგიური აქტორები. თბილისი: კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი.

48 საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი- 323 მუხლი (შენიშვნა), 09.09.2022

49 ვახტანგ მაისაია, ალიკა გუჩუა. (2020). ნატო და არასახელმწიფოებრივი აგრესიული რელიგიური აქტორები. თბილისი:

რომის სტატუტის მე-8 მუხლი კრიმინალიზებულ ქმედებად აცხადებს, სამხედრო კონფლიქტის დროს, უნევის კონვენციების წესების დარღვევას. კერძოდ, აკრძალული იარაღის გამოყენებას, სამოქალაქო ობიექტების დაბომბვას და სხვ. თუმცა, რომის წესდება არ აცხადებს კრიმინალიზებულად ტექნოლოგიების გამოყენებით სხვადასხვა კიბერთავდასხმებს, რომელმაც, შესაძლოა, ზიანი მიაყენოს უნევის კონვენციით დაცულ სუბიექტებს. შესაბამისად, კიბერთავდასხმების შემთხვევაში, საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლო ვერ განახორციელებს იურისდიქციას და მსგავსი ფაქტის დადგომის შემთხვევაში, სასამართლო ვერ განიხილავს საქმეს.

4. აგრესიის დანაშაული

აგრესიის დანაშაულთან დაკავშირებით, რომის სტატუტის მე-5 მუხლის მეორე ნაწილი მიუთითებს, რომ „აგრესიის დანაშაულზე სასამართლო იურისდიქციას ახორციელებს 121-ე და 123-ე მუხლების შესაბამისად იმ დებულების მიღებისთანავე, რომლითაც განისაზღვრება ეს დანაშაული და დაწესებულია სასამართლოს მიერ აღნიშნულ დანაშაულზე იურისდიქციის განხორციელების პირობები. ეს დებულება უნდა იყოს შესაბამისობაში გაეროს წესდების შესაბამის დებულებებთან.“⁵⁰ როგორც ვხედავთ, სხვა დანაშაულებებისაგან განსხვავებით, მოცემულ შემთხვევაში, არ გვაქვს კონკრეტული ქმედება, რომლითაც მოვანდენტ ქმედების კვალიფიკაციას. ასევე არ გვაქვს მოცემული განმარტება, რომელიც ბუნდოვანს ხდის აგრესიის დანაშაულის განმარტებას.

„აგრესიის დანაშაული“ წარმოადგენს სახელმწიფოს მიერ სხვა სახელმწიფოს სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის ან პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ შეიარაღებული ძალების გამოყენების აქტის დაგეგმარებას, დაწყებას ან შესრულებას. გარდა ამისა, აგრესიის აქტი მოიცავს შეჭრას, სამხედრო ოკუპაციას და ანექსიას ძალის გამოყენებით, პორტების ან სანაპიროების ბლოკადას იმ შემთხვევაში, თუ ამ ქმედების ხასიათიდან, სიძიმიდან და მასშტაბიდან გამომდინარე, აღნიშნული ქმედება წარმოადგენს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ქარტიის აშკარა დარღვევას.⁵¹

განმარტებიდან გამომდინარე, შესაძლებელია ითქვას, რომ აგრესიის დანაშაული განსაზღვრავს პასუხისმგებლობას თვითნებური საომარი მოქმედებების დაწყებისთვის, რაც გარკვეულწილად პრევენციული ხასიათის მატარებელი იქნება. თუმცა, აგრესიის დანაშაული შესაძლოა შევიდეს სასამართლოს იურისდიქციაში მას შემდეგ, რაც მონაწილე სახელმწიფოების

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი.

50 საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს რომის წესდება, 1998.

51 კრესი, ვ. (2018). აგრესიის დანაშაულზე სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქციის ამოქმედების შესახებ. კიოლის უნივერსიტეტი.

ორი მესამედი, 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ, მიიღებს შესაბამისი ცვლილებების შეტანის გადაწყვეტილებას და სულ მცირე, 30 მონაწილე სახელმწიფო მოახდენს ამ გადაწყვეტილების რატიფიცირებას.⁵²

მიუხედავად იმისა, რომ აგრესიის დანაშაულის საერთაშორისო დონეზე კრიმინალიზებას აქვს ძალზედ დიდი მნიშვნელობა როგორც ცალკეული სახელმწიფოების ასევე ადამიანების დაცვის კუთხით, სახელმწიფოები ერიდებიან აგრესიის დანაშაულის რატიფიცირებას, რაც გვაფიქრებინებს რომ ცალკეული სახელმწიფო შეიძლება მოგვევლინოს აგრესიის დანაშაულის პასუხისმგებელ სუბიექტად.

52 გლენონი, მ. ჯ. (2010). აგრესიის პოზაული დანაშაული. იელის უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლის ჟურნალი, 35-71.